ხაშურის მოამბე

№3(377) 30 იანვარი, ორშაბათი, 2023 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სახელმწიფო რწმუნებულებს შეხვდა

შეხვედრაზე მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები განიხილეს. მთავრობის მეთაურმა გუბერნატორებისგან ახალი ინიციატივები მოისმინა და კონკრეტული დავალებები გასცა.

პრემიერი დაინტერესდა იანვარში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემის პროცესის მიმდინარეობით. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, 19 695 000 ლარი გამოიყო. გარდა ამისა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის კომპენსაციის გაცემის მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 470 000 ლარი გამოიყო.

შეხვედრაზე პროგრამა „განახლებული რეგიონების“ მიმდინარეობის პროცესი განიხილეს. მთელი ქვეყნის მასშტაბით დასრულდა პროგრამის პირველი ეტაპით გათვალისწინებული პირველი ფაზის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც სრულად განახლდა 564 შენობა, მოწესრიგდა საინჟინრო ქსელები,განახლდა და აშენდა 92 პარკი და სკვერი. პროგრამა გრძელდება,ამ ეტაპზე კი,პროგრამის ფარგლებში,უკვე ინვესტირებულია 400 მილიონი ლარი.

ამასთან, შეხვედრაზე განიხილეს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელიც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ამოქმედდა. 2022 წლის პირველი მარტიდან 2023 წლის 23 იანვრის ჩათვლით აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 30 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი პირი დასაქმდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დაიწყო

ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები დაიწყო. 26 იანვარს შეხვედრები შედგა დუმაცხოვში, ახალუბანში, ქინძათში, ბრილში, ალში, ზემო აძვისში, უწლევში, ცხეთიჯვრში, ნაბახტევსა და კლდისწყაროში.

ადგილობრივ მოსახლეობას ხვდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი, საკრებულოს თავმჯომარის მოადგილეები ცოტნე ნოზაძე და ნოდარ ლომიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მარინე დიდებულიძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ზაზა სხილაძე, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: დუმაცხოვისა და ახალუბნის მოსახლეობამ მნიშვნელოვნად ბეტონის გზის მოწყობა დაასახელა, ქინძათში-სასმელი წყლის სისტემისა და ტრენაჟორების მოწყობა დასახელდა მნიშვნელოვნად, ბრილში და ალში- სანიაღვრე არხების მოწყობა ,ზემო აძვისში და ცხეთიჯვარში -არტეზიული ჭის მოწყობა,უწლევში- ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ნაბახტევში- სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, კლდისწყაროში -ბეტონის გზის მოწყობა.

გარდა ამისა, მერიის თანამდებობის პირებმა შეისწავლეს საჭიროებები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებს და ამ პროექტებს, მუნიციპალიტეტი, შემლებისდაგვარად, უახლოეს პერიოდში განახორციელებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ გრძელდება და ყველა სოფელს მოიცავს.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა
The USAID Resilient Communities Program

USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა აცხადებს საგრანტო კონკურს ბაზარზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაზრის იმ მონაწილეებს, რომლებიც გაზრდიან ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე ფერმერების/ მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობებს და/ან დადებით გავლენას მოახდენენ სამიზნე თემებში წარმოებული პროდუქციის ხარისხსა და მოცულობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტი საგრანტო პროგრამის ერთ-ერთი სამიზნე თემია

კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა: 20 თებერვალი, 2023 წელი.

განმცხადებლებს შეუძლიათ კითხვების დასმა ელ-ფოსტის საშუალებით: grants@cnfa-georgia.org

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 6 მარტი, 2023 წელი.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48,49,50. 2023წ.#1,2.)

1945 წლიდან 1949 წლამდე ხაშურის თეატრის სცენაზე განხორციელდა არაერთი საინტერესო სპექტაკლი: კ. გულდონის „ორი ბატონის მსახური“, ა. კერესელიძის „მზვერავები“, დ. გოუს და ა. დიუსის „ღრმა ფესვები“, გ. ქელბაქიანის „შესაფერი ჯილდო“ და „დაგვიანებული სინანული“, გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“, ს. მთვარაძის „სახსოვარი“, გ. დარისპანაშვილის „ძმები“, ნ. არეშიძის „განთიადი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“ და მრავალი სხვა.

1948 წლის მაისში თეატრი კვლავ წარსდგა რაიონული და საქალაქო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, რომელზეც სამი სპექტაკლი „ღრმა ფესვები“, „დაგვიანებული სინანული“ და „ხანუმა“ წარადგინეს. თეატრს კვლავ დიდი წარმატება ხვდა. 24 მაისს სპექტაკლების განხილვისას მაღალი შეფასება მიეცა თეატრის მუშაობას. ყველა მონაწილემ „თავიანთ გამოსვლებში ხაზი გაუსვა თეატრის კოლექტივის შემოქმედებით წინსვლას. აღნიშნეს ქალაქის საზოგადოებრიობის გულთბილი დამოკიდებულება, განსაკუთრებით მიუთითეს იმ ცხოველმყოფელობაზე, რაც თეატრის კოლექტივში წელს მოსულმა ძალებმა ნ. აგლაძემ, ს. ინჯიამ, ალ. ლელაშვილმა, გ. აგლაძემ და გ. ნაცვლიშვილმა შეიტანეს. მათ მაღალი შეფასება მისცეს მსახიობების მ. მაზმიშვილის, თ. ბერბუთაშვილის, ე. ვერულაშვილის და სხვათა შემოქმედების მუშაობას“.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, თეატრმა 1949 წლიდან არსებობა შეწყვიტა. ამ წელს თეატრმა მაყურებელს უჩვენა ისაევისა და გადიჩის დრამა „თქვენ გიხმობთ ტაიმირი“, რომელიც ხაშურელ მაყურებელთან გამოსათხოვარ სპექტაკლად იქცა. მსახიობთა ერთი ნაწილი ხაშურიდან სხვა თეატრებში გადავიდა, ნაწილი კი ისევ აქ დარჩა და რკინიგზის კულტურის სახლთან არსებულ დრამატულ კოლექტივად ჩამოყალიბდა. ამ კოლექტივის რეპერტუარში ძირითადად სახელმწიფო თეატრის პერიოდის სპექტაკლები იყო. დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან“, გ. მდივანის „ვარდო“, გ. ნახუცრიშვილს „ის დრო წავიდა“, ა. დიუსოს და ჯ. გოუს „ღრმა ფესვები“, ი. მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“, ა. აგლაძის „ნათელი დღე“ და სხვა... თეატრალურ კოლექტივს მხარში ედგნენ რეჟისორები: ვ. ყუშიტაშვილი, ო. ალექსიშვილი და შ. მანაგაძე, რაც განაპირობებდა მის წარმატებებს, სპექტაკლებს მხატვრულად კვლავ აფორმებდა ა. ჟორდანია. მსახიობები: თ. ბურბუთაშვილი, ე. ვერულაშვილი, შ. მაჩაიძე, ა. ლელაშვილი, გ. ომიაძე, მ. ნოზაძე, თ. ინასარიძე, ი. ცხვირაშვილი, მ. მაზმიშვილი, ქ. ბერაია, ი. თურმანიძე, ო. ძიძიგური და სხვები, კვლავ გატაცებით მუშაობდნენ და არაერთ საინტერესო სცენურ სახეებს ქმნიდნენ.

50-იანი წლების დასაწყისიდან ხაშური დატოვა მსახიობთა იმ ჯგუფმა, რომელიც სახელმწიფო თეატრის დახურვის შემდეგ ადგილზე დარჩა. ამ გარემოებამ ერთხანს შეაფერხა თეატრალური ცხოვრება ხაშურში, მაგრამ მდგომარეობა მალე შეიცვალა. 1952 წლიდან რკინიგზის კულტურის სახლის დრამატულ კოლექტივს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც შეძლო, ჩამოეყალიბებინა ახალი კოლექტივი და არაერთი საინტერესო დადგმა განეხორციელებინა. სხვადასხვა დროს კოლექტივმა განახორციელა: ა. ცაგარელის „ხანუმა“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, გ. ქელბაქიანის „განა ეს სიყვარულია?“, ე. ნინოშვილის „ქრისტინე“, ო. ვასილიევის „ამქვეყნიური სამოთხე“, ა. წერეთლის „პატარა კახი“, ა. ზაიცევის „რობინ ჰუდი“, კ. კალაძის „როგორ“, შ. დადიანისა და რ. ქორქიას „დავით გურამიშვილი“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კოლექტივის ცხოვრებაში 1955 წელი, შ. ჩერქეზიშვილმა განახორციელა ი. მოსაშვილის ცნობილი პიესა „გზა მომავლისა“, რომელშიც ნათლად გამოვლინდა, როგორც რეჟისორის, ასევე მსახიობების შესაძლებლობანი. სპექტაკლი იმავე წელს რამდენიმეჯერ ნახა თბილისელმა მაყურებელმა, ხოლო მომდევნო 1956 წელს მონაწილეობა მიიღო დრამატული კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაში. რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში წარმოდგენილი ხაშურელების სპექტაკლი ერთსულოვნად იქნა აღიარებული ჟიურის მიერ და მოიპოვა უფლება მონაწილეობა მიეღო, ქ. მოსკოვში თეატრალური კოლექტივების სრულიად საკავშირო დეკადაში.

სპექტაკლში საინტერესო სახეებს ქმნიდნენ: შ. ჩერქეზიშვილი (ერეკლე მეფე), შ. მანჯავიძე (პაატა ბატონიშვილი), ი. თურმანიძე (განჯის ხანი), ჭიპაშვილი (ოლეგ სედოვი), ქ. ბერაია (ლევან ბატონიშვილი), ო. ძიძიგური (დედოფალი) და სხვები. რკინიგზის კულტურის სასახლის დრამატული კოლექტივის პარალელურად, 50-იან წლებში, ქალაქის კულტურის სახლში მოქმედებდა მეორე დრამატული კოლექტივი, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ვ. მუმლაძე, მ. ჩხეიძე და ი. თურმანიძე. მათ მიერ აქ განხორციელებული იქნა ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, გ. ერისთავის „ძუნწი“, ს. მთვარაძის „აურიე რგოლი“, გ. კუბრიევსკის „სამი უბედური“, ნ. კანდელაკის „მეცნიერი სოფელში“, ო. რაზმაძის და ნ. მახარაშვილის „საქმროების არჩევანში“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, ა. წერეთლის „კინტო“, ა. დევაძის „სადიპლომო სპექტაკლი“ და სხვა.

50-იან წლებში რკინიგზისა და ქალაქის კულტურის სასახლეების დრამატულმა კოლექტივებმა ყოველმხრივ შეამზადეს ნიადაგი ხაშურში სახალხო თეატრის დაარსებისათვის, რაც 1960 წელს წარმატებით განხორციელდა. თეატრს სათავეში ჩაუდგა თენგიზ ინასარიძე, მხატვრად დაინიშნა ალექსი ოსიტაშვილი. დასში გაერთიანდნენ ძველი და ახალი თაობის სცენისმოყვარეები. თეატრალური ხაშურის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა, რომელიც ასევე აღსავსეა საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით.

პირველი სპექტაკლი თეატრმა 1961 წლის 18 თებერვალს უჩვენა მაყურებელს. ეს იყო გენო ქელბაქიანის პიესა „ახალგაზრდა მასწავლებელი“, რომელმაც მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა. სპექტაკლში საინტერსო სახეები შექმნეს: ირაკლი თურმანიძემ, მარო ჩხეიძემ, ოლია ძიძიგურმა, თენგიზ ინასარიძემ, ვალია კიკნაძემ, შუშანა ლომიძემ, ავთანდილ ჭყოიძემ, შალვა ჩიჭიურმა, იროდი ბარბაქაძემ, თამაზ ახალკაცმა, ილო ნადირაშვილმა, შოთა შათირიშვილმა, უშანგი კაპანაძემ, შოთა მანჯავიძემ და სხვებმა. სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობდა ა. ოსიტაშვილის მხატვრული გაფორმება და კომპოზიტირ ს. მირიანაშვილის მუსიკა.

სახალხო თეატრმა წლების მანძილზე განახორციელა: ი. ვაკელის „აპრაკუნე“, ი. ივანაშვილის „ქორწილი წყნეთში“, ა. პარნისის „აფროდიტეს კუნძული“, მ. მრევლიშვილის „მოსალოდნელი დასასრული“, „ზვავი“, ო. დგებუაძის „ოთხი სიცოცხლე“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, გ. ნახუცრიშვილის „შაითან ხიხო“, გ. ხუხაშვილის „ცეცხლის ხაზზე“, „ცხოვრება კაცისა“, ი. ცინცაძის „მზექალა“, ჯ. ნიქაბაძის „ცანგალა“, ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. სუმბათაშვილის „ღალატი“, ა. ჩხაიძის „შთამომავლობა“, ა. დევიძის „ჩვენ ყველანი“, შ. როყვას „მინდვრის დედოფალი“, დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“, ლ. მილორავას „კერპჯიუტა“, ვ. ცხოვრებოვის „სინდისი“, შ. გვეტაძის „მონანიება“, ე. რანეტის „კრიმინალური ტანგო“, ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“, „სიყვარულის ხაფანგი“, შ. შამანაძის „ღია შუშაბანდი“, ი. მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, ედუარდო დე ფილოპოს „ცილინდრი“, მ. დოლიძის „მდგმურები“, გ. ცხვედაძის „ლაბირინთი“ და სხვა.

ამ სპექტაკლებში ნათლად გამოვლინდა სახალხო თეატრის დიდი შესაძლებლობანი, სცენისმოყვარეთა დიდი შრომისმოყვარეობა და ნიჭიერება ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თეატრის არაერთმა სპექტაკლმა რესპუბლიკური აღიარება მოიპოვა. 1967 წელს სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე სპექტაკლისათვის „ყვარყვარე თუთაბერი“ (რეჟისორი თ. ინასარიძე) თეატრი დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით, მიეკუთვნა საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება და გადაეცა ლაურეატის სამახსოვრო ნიშანი. როლების საუკეთესო შესრულებისათვის პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ: იროდი ბარბაქაძე (ყვარყვარე), სიმონ გურეშიძე (კაკუტა) და ტარიელ ბუღაძე (ქოჩორა). მეორე ხარისხის დიპლომი მიეკუთვნა თეატრის მთავარ რეჟისორს თენგიზ ინასარიძეს.

1972 წელს ასეთივე წარმატება ხვდა წილად თეატრის სპექტაკლს „ზვავი“ სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერება-ფესტივალზე თეატრს მეორე ადგილი მიენიჭა და დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით. სპექტაკლის მაღალმხატვრულად გადაწყვეტისა და დადგმისათვის ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭათ და დაჯილდოვდნენ დიპლომებით თეატრის რეჟისორი იროდი ბარბაქაძე, მხატვარი რობერტ თიბილაშვილი, მსახიობი ნადია კიკნაძე. მსახიობთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა პირველი, მეორე და მესამე ხარისხის დიპლომებით.

1978 წელს სახალხო თეატრების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე თეატრის სპექტაკლი „კერპჯიუტა“ (რეჟისორი ი. ბარბაქაძე) დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით.

სახალხო თეატრის შემოქმედებით წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რეჟისორებმა: თ. ინასარიძემ, შ. ჩერქეზიშვილმა, მ. შაფთოშვილმა, მ. ხარატიშვილმა, ი. ბარბაქაძემ, ნ. დონდაძემ, უ. ჯობაძემ, გ. ცხვედაძემ და სხვებმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ბარბაქაძის დამსახურება, რომელიც თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სახალხო თეატრს. თეატრის წარმატებაში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ მხატვრებს: ალექსი ოსიტაშვილს, რობერტ თიბილაშვილს და ალიკო დონდაძეს, რომელთა მიერ გაფორმებული არაერთი სპექტაკლის მხატვრობა გამოირჩეოდა მაღალპროფესიული დონით.

სახალხო თეატრის სცენას წლების მანძილზე ამშვენებდნენ ძველი და საშუალო თაობის მსახიობები: ოლია ძიძიგური, მარო ჩხეიძე, ირაკლი თურმანიძე, ვალია და ნადია კიკნაძეები, თამარ ცხვირაშვილი, მალხაზ გოგოლაძე, ავთო ჭყოიძე, სევერიან ლაზარაშვილი, ჯემალ ოსიტაშვილი, ტარიელ ბუღაძე და სხვები. მათ გვერდით თეატრალურ ცხოვრებას ეზიარა მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც დღესაც განაგრძობდნენ თეატრში აქტიურ შემოქმედებით მუშაობას.

80-იანი წლები და 90-იანი წლების დასაწყისში აღინიშნა სახალხო თეატრის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვანი დადგმები. 1987 წლის სექტემბერში თეატრმა განახორციელა ედუარდო დე ფილიპოს ტრაგიკომედია „ცილინდრი“ / რეჟისორი რ. ვლასოვი/, ხოლო 1991 წლის ნოემბერში მ. დოლიძის „მდგმურები“ (რეჟისორი უ. ჯობაძე), ორივე სპექტაკლი მაღალმხატვრულ დონეზე იყო განხორციელებული, გამოირჩეოდა თავისუფალი აზროვნებით, რეჟისორული ჩანაფიქრითა და გადაწყვეტით, რაც იმაზე მიგვანიშნებდა, რომ თეატრში მიმდინარეობდა შემოქმედებითი ძიების პროცესი, ახალი სტილის შემოტანა და დამკვიდრება. ორივე სპექტაკლში თეატრის მსახიობებმა საინტერესო სცენური სახეები შექმნეს.

თითქოს კარგად დაწყებული პროცესები 90-იანი წლების დასაწყისის შემდეგ ერთხანს შეჩერდა, მაგრამ შემდეგ წარმატებით გააგრძელა გ. ცხვედაძემ, რომელმაც 1999 წლის ივნისში აქ განახორციელა თავისი პიესა „ლაბირინთი“, რომელსაც უდავოდ დამსახურებული მოწონება ხვდა წილად. იმავდროულად რეჟისორმა მ. კაპანაძემ წარმოადგინა მ. ბარათაშვილის „ფრთხილად სასიკვდილოა!“

სახალხო თეატრის პარალელურად, ხაშურში 60-იანი წლებიდან რკინიგზის კულტურის სასახლეში მოქმედებდა დრამატული კოლექტივი, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე პერიოდულად დგამდა წარმოდგენებს. მხოლოდ 1991 წლიდან ჩამოყალიბდა მუდმივი თეატრალური დასი, რომელიც დღემდე მუშაობს წარმატებით. კოლექტივის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ლია ცხვირაშვილს, ელდარ გოგოლაძეს, ანზორ გაჩეჩილაძეს, ინგა მეტრეველს და სხვებს. ამ კოლექტივის ბაზაზე დღეს შექმნილია მოზარდ მაყურებელთა მუშათა თეატრი, აქვე მოქმედებს საბავშვო თეატრი „წითელქუდა“ (ხელმძღვანელი ლ. ცხვირაშვილი).

1965 წელს ქალაქის კულტურის სახლთან შეიქმნა თოჯინების თეატრი, რომელმაც მხოლოდ ერთი სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს. მომდევნო წელს ს. ლაზარაშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თოჯინების თეატრი რკინიგზის კულტურის სასახლეშიც. ამ თეატრმაც მხოლოდ ერთი დადგმა განახორციელა. 1985 წელს ქალაქის კულტურის სასახლესთან რ. ვლასოვის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ახალი თოჯინების თეატრი, რომელიც დღესაც წარმატებით განაგრძობს მუშაობას. 1990 წლიდან თეატრს ხელმძღვანელობს ლალი კახეთელიძე. მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ 1992 წლიდან თეატრი სახალხო თეატრის წოდებას ატარებს. თოჯინების თეატრმა რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა თოჯინების თეატრების რესპუბლიკურ ფესტივალში და არაერთხელ დაიმსახურა მაღალი შეფასება.

მედიცინა. სამედიცინო საქმიანობას ხაშურში XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეყრება საფუძველი. რკინიგზის გაყვანამ და აქ რკინიგზის დიდი სახელოსნოების დაარსებამ გარკვეული პირობები შექმნა სამედიცინო დარგის აღმოცენებისთვის. ამ დროს ხაშურში რკინიგზაზე ექიმად მოღვაწეობდა ნიკო ხუდადოვი (ხუდადაშვილი). ზემო ჭალის სკოლის მასწავლებელი ალ. ნათაძე 1913 წელს წერდა რომ „ნიკო ხუდადაშვილი კვირაში ერთხელ მაინც მინახულებდა ხოლმე და ჩემთან ერთად მთელ სოფელს ჩამოივლიდა, დარიგებებს აძლევდა ხალხს და ჰკურნავდა დავრდომილებს“. ქართული რევოლუციამდელი პრესა („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „საქართველო“ და სხვა) სისტემატურად აქვეყნებდა სპეციალურ წერილებს და ინფორმაციებს ხაშურში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე, რაც საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ სფეროზე. უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მხრივ სურათი საკმაოდ მძიმეა, რადგან ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია მოუწესრიგებელი იყო. მართალია, ადგილზე რკინიგზის დაწესებულებებს მომსახურებას უწევდა სამედიცინო სამსახური, მაგრამ ჩანს, რომ დონე საგრძნობლად დაბალია. კრიტიკას ვერ უძლებდა საოფთიაქო საქმიანობაც, რაზეც მიუთითებდა ქართული პრესაც. ასე მაგალითად, 1896 წლის 8 სექტემბრის ჟურნალი „კვალი“ აქვეყნებს სან-ნარის ხელმოწერით წერილს, რომელშიც აღნიშნულია: „აქაური რკინისგზის ექიმები მეტისმეტ უდიერათ ექცევიან ავადმყოფთ, რომლებიც რკინის გზის სამსახურში ითვლებიან. საწყალ ავათმყოფებს ძლივს აღირსებენ ხოლმე აფთიაქის გაღებას, მაგრამ ბევრჯერ წამალი არც კი აქვთ მიღებული, რომ მალე ისევ დაჰკეტენ და გამოაცხადებენ: „წადით, ამაზე მეტხანს რომ ღია გვქონდეს, ნება არ გვაქვს, ხვალ შეგიძლიათ მოხვიდეთო“. რასაკვირველია, თუმცა მეორე დღეს ავათმყოფები დანიშნულ ვადაზე მიდიან, მაგრამ ისევ გუშინდელი ამბავი განმეორდება და უნუგეშოთ ბრუნდებიან ხოლმე უკან. კიდევ კარგი, თუ კაცი მძიმე ავათმყოფი არ არის, სიარული შეუძლია, მაგრამ რას ვამბობ: აქაურ აფთიაქში განა მძიმე ავათმყოფის გარდა გაბედავს ვინმე მისვლას? ვაი, იმ ავათმყოფის ბრალი, რომელსაც ფეხზე დადგომა შეუძლია და ავათმყოფობას განაცხადებს, მაშინვე გასინჯვის უმალ მიახლიან: „შენ ავათმყოფობას მიტომ იგონებ, რომ სამსახური გეზარებაო“. ამის შემდეგ მეტი გზა არ არის: ავათმყოფმა ან სამსახური უნდა განაგრძოს, ან არა და მხოლოდ მაშინ უნდა გაბედოს აფთიაქში მისვლა, როცა ხელით სათრევი გახდება. აი, ამიტომაც ხშირათ აფთიაქის დერეფანში, მტვრიან იატაკზე ჰყრიან ავათმყოფები და თან ხვნეშიან. სწორეთ საკვირველია აქაური მკურნალების საქციელი. ეს დალოცვილები თუ კი მძიმე ავათმყოფებს გარდა არავის უწამლვენ, ორიოდე ტახტი მაინც დადგან, რომელზედაც ავადმყოფთ შეეძლოთ მოსვენება, ვიდრე ყურადღებას აღირსებდნენ“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- 75 - მაყვალა ხაჩიძე - 75 -

ქვეყნის მაჯისცემა ლოკალურ პრესაში

რამდენიმე წლის წინ, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, რომელიც ომის თემას შეეხებოდა, დავინტერესდი, თუ როგორ აისახებოდა ამა თუ იმ რეგიონის პრესაში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. (ბუნებრივია, ჩემი მოღვაწეობის არეალით შემოვიფარგლე). დიდი ინტერესით დავიწყე მუშაობა ხაშურის რაიონული გაზეთების არქივში. გაზეთი ხომ ქვეყნის მაჯისცემაა! ყოველი სიახლე, რაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდებოდა, ამ შემთხვევაში კი, მასალა უახლესი მოვლენების შესახებ, ხან „ქრონიკის“ ფორმატით, ხან კი - კონკრეტული ავტორის გვარ-სახელითაა გამოქვეყნებული.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ხაშურის რაიონული გაზეთის რედაქციაში მუშაობას იწყებს ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე, რომელიც სისტემატურად აშუქებს ქვეყნის პოლიტიკურ დაფაზე მიმდინარე პროცესებს. უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიცისტურ თუ მხატვრული ხასიათის წერილებში ჟურნალისტი თამამად აფიქსირებს თავის პოზიციას, საგაზეთო ქრონიკებშიც იგრძნობა ავტორის ეროვნული სულისკვეთება.

XX ს. 90-იანი წლების ბოლოს, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ყოფის ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა. ანტისაბჭოთა მოძრაობას, რომელიც საქართველოში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით დაიწყო, მიემხრო საზოგადოება. ამ პროცესებს სისტემატურად აშუქებდა პრესა. თბილისის ომის დამანგრეველი შედეგები, აფხაზური და ოსური სეპარატიზმის განვითარება ირეკლებოდა როგორც რესპუბლიკურ, ასევე -ლოკალურ პრესაში.

ჩემ მიერ გასაანალიზებელ მასალაში ტრავმული მეხსიერების ანარეკლი მოიცავს პერიოდს 90-იანი წლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომამდე.

მიზანი: საარქივო მასალების დამუშავების საფუძველზე, შევისწავლოთ საბჭოურ ეპოქაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ხაშურის საზოგადოების დამოკიდებულება.

განსახილველად აღებული მასალების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს სწორედ იმ მნიშვნელოვან პერიოდს (1989-94), როდესაც ერი უდიდესი პრობლემის წინაშე დგება -იკარგება სამაჩაბლო და აფხაზეთი.

აღნიშნული მასალის შესწავლამ ცხადყო, თუ რა პირობებში იმყოფებოდნენ ლტოლვილის სტატუსით ხაშურის რაიონს თავშეფარებული ადამიანები, რა რაკურსით შეეხო ომი, ასე ვთქვათ, არაოკუპირებულ სივრცეს.

საბჭოთა კავშირის კპ ცკ-ის გენერალური მდივნის, მიხაილ გორბაჩოვის მიერ დაწყებულმა ლიბერალიზაციის პროცესმა, რომელიც „პერესტროიკად“ იქნა მონათლული, სტიმული მისცა დისიდენტური მოძრაობის გამოცოცხლებას. გახშირდა მიტინგები და დემონსტრაციები. საბჭოთა კავშირი კარგავს კონტროლს მთელ რიგ ქვეყნებზე 1989 წლიდან მიმდინარეობს კომუნისტური იდეოლოგიის დევალვაცია. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩნდება რამდენიმე ეთნიკური კონფლიქტი. დამოუკიდებლობისადმი ლტოლვის საერთო საკავშირო ფერხულში ებმება საქართველოც. პოლიტიკური, სოციალური და კულტურული წნეხით გამოწვეული პროტესტი კულმინაციას 1989 წლის 9 აპრილს აღწევს - ესაა მასობრივი პროტესტი, ინსპირირებული იმპერიის მიერ ოსურ-აფხაზური სეპარატიზმის წახალისებით.

90-იანი წლების ბოლოს საქართველოში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვან კვალს ტოვებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ლიტერატურულ სივრცეში. მიმდინარე მოვლენებს სისტემატურად აშუქებდა ხაშურის რაიონის პერიოდული გაზეთი, რომელსაც, მიუხედავად ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა, არსებობა არ შეუწყვეტია. იცვლებოდა გაზეთის სახელწოდება („გამარჯვების გზა“, „ალიონი“, „ხაშურის მოამბე“). როგორც საქართველოს ყველა მოქალაქე, აღნიშნული გაზეთის ჟურნალისტები ტკივილით, მაგრამ ოპტიმისტური განწყობით ხვდებოდნენ ყოველ სიახლეს, აშუქებდნენ როგორც ქვეყნის გულში, ასევე ლოკალურად მიმდინარე პროცესებს. დედაქალაქის პარალელურად, ხაშურის რაიონშიც აქტიურად დაიწყო გამოსვლები. შეიქმნა ილია ჭავჭავაძისა და შოთა რუსთაველის საზოგადოებები, საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ-დემოკრატიულ და სახალხო ფრონტის მოძრაობებს. როგორც აღვნიშნეთ, იმ პერიოდში რაიონული გაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ხაზს უძღვებოდა რედაქტორის მოადგილე, ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე, რომლის საგაზეთო წერილები საშუალებას გვაძლევს ქრონოლოგიურად მივადევნოთ თვალი 9 აპრილისა და მის შემდგომ, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს, ომისშემდგომ პერიოდს.

პროფესორი ზურაბ ცუცქირიძე მნიშვნელოვან შეფასებას აძლევს მაყვალა ხაჩიძის მოღვაწეობას. იგი თვლის, რომ იმხანად იოლი არ იყო გამბედავი ჟურნალისტის სახელის დამკვიდრება, მხატვრულ-პუბლიცისტური ხერხებით დროის სუნთქვისა და მაჯისცემის გადმოცემა: „ამ, მართლაც მძიმე, ნაცრისფერ მასაში ჟურნალისტი გამოირჩა საკუთარი ორიგინალური ხმითა და მამულიშვილური გულით, მტკიცე ეროვნული პოზიციით და მოქალაქეობრივი პრინციპულობით. მას ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეეძლო, საკუთარ პრინციპად გამოეცხადებინა დევიზი: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“. წერილში „9 აპრილი რუსთაველზე“, რომელიც 1989 წლის აპრილში გაზეთ „გამარჯვების გზაში“ გამოქვეყნდა, საუბარია, თუ რა ხდებოდა იმ საბედისწერო წუთებამდე მთავრობის სახლის წინ. „შემდეგ დროებით წყდება საქართველოს მაჯისცემა. ერთმანეთში ირევა სიმღერა, ნიჩაბი, გაზი, ხელკეტი“. მოდის „ზღვა სამძიმრებისა“ სკკპ ცენტრალური კომიტეტიდან. გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება განსხვავებული ინფორმაცია ტრაგედიის შესახებ - თითქოს პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდნენ მოქალაქეები და ამ დროს წარმოქმნილ ჭყლეტას შეეწირა 16 ადამიანი.

გაზეთში მოთავსებულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრული საქმის გამო დაპატიმრებულნი არიან ხუხუნეიშვილი, კოსტავა, ჭანტურია, სარიშვილი, გამსახურდია. დაპატიმრებულთა სიაში შეცდომითაა წერეთლის გვარი და ამჟამად მასაც დაეძებენ. ყოველივე ამას გამოხმაურება მოჰყვა ხაშურის რაიონში. ლიდერების მხარდასაჭერად, გასათავისუფლებლად ხაშურის რაიონშიც დაიწყეს შიმშილობა ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა: აქვსენტი გოგალაძემ, ალიკო ღონღაძემ, მალხაზ გოგალაძემ, შალვა მარკოზაშვილმა და გია ქიტიაშვილმა. არ ვიცით, რამდენად იქნა გათვალისწინებული ხაშურელთა პროტესტი დედაქალაქში, მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ რეგიონებში ქვეყნის პულსაცია იგრძნობოდა, მისასალმებელია.

მაყვალა ხაჩიძის წერილში, „ახლა არ გვგლეჯენ ენასა“, ვკითხულობთ: „საყოველთაო გლოვის დღეს რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობამ სამგლოვიარო სვლა მოაწყო ქალაქის ქუჩებში. შემდეგ მიტინგიც გაიმართა. „გამარჯვების

გზამ“ ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიაწოდა რაიონის მკითხველს, ხოლო მეორე დღეს მთელ საქართველოს გაზეთმა „სოფლის ცხოვრებამ“ ამცნო, რომ ხაშურში გაიმართა მიტინგი, რომელიც „ბიუროკრატიზმის, მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას“ მიეძღვნა(!). ამ ანომალიების წინააღმდეგ, მართლაც რომ მწვავე ბრძოლა გვმართებს, მაგრამ ამისთვის იმ დღეს ვის ეცალა?“. როდესაც ქვეყნის ყველა ბერკეტი მმართველი პარტიის ხელთაა, გაკეთებული განცხადებებიც შესაბამისია.

„დამთავრდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია“ სტატია ამ სათაურით რაიონის მკითხველს ამცნობს აღნიშნული კონფერენციის შესახებ: „კონფერენციაზე „ხსნის კომიტეტმა“ თავისი მისია შესრულებულად გამოაცხადა და უფლებამოსილება გადასცა ეროვნულ ფორუმს, რომელსაც დაევალა ქართველი ერისადმი მიმართვის შედგენა. კონფერენცია თავის ყოველ სხდომას ამთავრებდა ეროვნული მოძრაობის ჰიმნით-„ჩემო კარგო ქვეყანავ“.

„მარტოდენ მამულის საკეთილდღეოდ“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, რომელიც მიზნის მისაღწევად უსისხლო გზის გამოყენებისაკენ მოუწოდებს საზოგადოებას. აქვე გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ საზოგადოებას არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვს ეროვნული მოძრაობისადმი: „რაიონში „არაფორმალებს“ ალმაცერად უყურებენ. ცოტას თუ სწამს მათი. ამ შეხედულებას ისიც უწყობს ხელს, რომ ხელისგულივით ვიცნობთ მათ ცხოვრებას და ბევრ რამეს არ ვპატიობთ, მაგრამ გვავიწყდება მთავარი - რომ ისინი დღეს ემსახურებიან ყველაზე წმინდა და ნათელ იდეალს, მზად არიან მამულის სამსახურისთვის“

„თუ დამოუკიდებელი საქართველო გვინდა... ანუ „არა ცილ სწამო“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, სადაც უდიდესი გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ დამოუკიდებლობის რელსებზე შემდგარ საქართველოში, ნაცვლად ერთმანეთისადმი დიდი თანადგომისა და შეკავშირებისა, ურთიერთშუღლსა და დაუნდობელ ცილისწამებაში იხარჯება ჩვენი ძალები. სუვერენიტეტისთვის მებრძოლი ძალები „მესამე ძალამ“ დაქსაქსა. ხალხი დაიბნა. მტერი ზეიმობს, რადგან მისი მისია შესრულებულია - ღვარძლის მარცვალი ჩაგდებულია. სამზეოზე გამოსულ ადამიანებს ლაფში ისევ თავისი გუშინდელი თანაგუნდელები სვრიან - „აი, აქ უნდა ეგრძნოთ ერთი აზრით შეკავშირებულ თანამომმეთ მტრის ხელი და მათ წისქვილზე წყალი კი არ უნდა დაესხათ, არამედ ერთად უნდა შებრძოლებოდნენ ბოროტებას და ხალხსაც სალაპარაკო არ მიეცემოდა... და ეს მარტო დედაქალაქში კი არა, რაიონშიც იგრძნობა. ყოველდღე იძაბება ურთიერთობები“.

მტრის ანკესზე წამოგებული ადამიანები ერთმანეთის წარსულს ჩაეძიებიან. სამშობლოს გარდა, ყველაფერი ახსოვთ, ანგარიშსწორების მომენტს

(გაგრძელება IV გვერდზე)

ქვეყნის მაჯისცემა ლოკალურ პრესაში

(გაგრძელება)

ეძებენ და უფსკრულს, რომელიც თავისუფლებას ემუქრება, ვეღარ ამჩნევენ. წერილის ავტორს ბიბლიიდან მოჰყავს მაგალითი - ცოდვილის ჩასაქოლად რომ უცოდველის ხელით ქვის სროლა ითხოვა უფალმა, ცილისმწამებელთ კი მონაზვნის მიერ ქვის შობის მაგალითი შეახსენა.

ასე იყო ყოველთვის და ასეა დღემდე - ციხე არა გარედან, შიგნიდან იბზარება და მერე ტყდება... როცა მტერი არც ციხის კარის შიგნიდან გამღებს დაინდობს, გვიანია იქნება „თითზე კბენანი“.

სამაჩაბლოში განვითარებულ მოვლენებს ყველა თავისებურად აღიქვამს და ეხმაურება. მიზანი ერთია-არ უნდა დაუშვან ქართული მიწის დაკარგვა. არსებულ პრობლემას ეხმაურება ხაშურის რაიონიც. მხოლოდ ერთმუშტად შეკრულ საქართველოს ძალუძს ამ პრობლემის გადაჭრა. ხაშურის რაიონის ყველა დაწესებულებიდან, საზოგადოებრივი მეურნეობებიდან იგზავნება დეპეშები, სადაც სსრ კავშირის პრეზიდენტს 7 იანვრის ბრძანებულების კატეგორიულ გაუქმებას სთხოვს ხაშურის მოსახლეობა. არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, რომ ხაშური აქტიურადაა ჩაბმული ქვეყნის საჭირბოროტო საქმეთა გადაწყვეტის ფერხულში. იმართება მიტინგები, ჩნდება მოწოდებები. „სამაჩაბლოში შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციებთან დაკავშირებით, ხაშურსა და სურამში შეიქმნა სპეციალური შტაბები, რომლებიც ურთიერთკავშირში არიან. აქ შეიძლება სხვადასხვა ახალი ინფორმაციის შეტყობა. შტაბებში ერთიანდება ათეულობით მოქალაქე, რომელთაც მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ - დაიცვან საკუთარი სამშობლო განსაცდელისაგან“.

ოსური სეპარატიზმის „წყალობით“ ბუდეაშლილ ქართველებზეა საუბარი გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზე. იძულებით გადაადგილებულთა თავშესაფრის ძიება კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა, რომლის გადაჭრამაც სახელმწიფო ჩიხში მოაქცია. ლტოლვილები შეასახლეს თბილისის სასტუმროებსა და სხვადასხვა შენობა-ნაგებობაში. ლტოლვილები დააბინავეს ხაშურშიც. მიუხედავად სახელმწიფოს მხრივ გამოვლენილი ყურადღებისა, მათი მდგომარეობა სავალალო აღმოჩნდა. თვითონაც შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას ჯერ თანაგრძნობა უჩნდება მათ მიმართ, შემდგომ კი, როცა სამაჩაბლოელებს აფხაზეთიდან დევნილებიც შეუერთდნენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ხშირად გაიგონებდით: „ლტოლვილები ჩვენ ვართ!...“ ამ სიტყვების წარმომთქმელთ, უბრალოდ, წარმოდგენაც რომ შესძლებოდათ, თუ რა გადაიტანეს ამ ადამიანებმა, დახმარებას თუ ვერა, სიტყვიერ თანაგრძნობას მაინც არ დააყვედრიდნენ.

მაყვალა ხაჩიძე, როგორც ჟურნალისტი, როგორც პოეტი და მოქალაქე, გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენს ყველა იმ ადამიანისადმი, ვისაც „ცხოვრების ხიდი ჩაენგრა.“ წიგნში „ეს ჩემი სულია“ წარმოდგენილია მისი შემოქმედების ის ნაწილი, სადაც განცდილ-ნანახი განსაკუთრებული მგრძნობელობითაა აღწერილი. საზოგადოებრივი ტრავმით გამოწვეული წუხილი იკითხება მის ტექსტებში.

„ხაშურის მოამბის“ რედაქტორი, რობერტ სუხიაშვილი, როდესაც იგი მაყვალა ხაჩიძის ერთ-ერთი წიგნის შესახებ საუბრობს, დასძენს, რომ ავტორი გამორჩეული ჟურნალისტია, საქვეყნო საქმისთვის თავდადებული: „მარგინალიები, ლექსები, მინიატურები, ჩანახატები-ამ წიგნის მთავარი ჟანრებია და ყველა ეს ლიტერატურული ფორმა ძალიან მოფიქრებულად და ზუსტად აქვს გამოყენებული. ყველა მისი ნაფიქრალ-ნააზრევი ღრმაშინაარსიანი, პოეტურად ნათქვამი და, რაც მთავარია, ჭეშმარიტად გულის ნაკარნახევია“.

ჟურნალისტისთვის სამსახურებრივი მოვალეობა ცხოვრების წესადაა ქცეული. მისი ყოველი დღე ავბედითი ყოფით შეჭირვებულ ადამიანებზე ფიქრით იწყება. იგი ხაშურში დაბინავებულ, ცხინვალიდან დევნილ, 75 წლის ქალს ხვდება და ესაუბრება. ქალბატონი ბოლო დროის მოვლენებით გამოწვეულ არეულ სიტუაციაზე საუბრობს. ცხინვალში დაბადებულსა და გაზრდილს ასეთი პრობლემა არასდროს ჰქონია. „უკანასკნელ ხანებში მეზობლებს ვეღარ ვცნობდი. სულ ვფიქრობდი, ნეტავ, რა დავუშავეთ-მეთქი. ახლა ვხვდები „დანაშაულის მიზეზს“ - თურმე ჩვენს მიწა-წყალს გვეცილებიან... დიდხანს ვითმინე და ბოლოს მაინც ჩემს ახლობლებს მოვაშურე ხაშურში რძლითა და შვილიშვილებით. მეზობელ ქართველებს ბინები დაუწვეს და გამოვასწარით“...

ბრმა ტყვიას შეწირული ბიჭების ხვედრს საკუთარი სიცოცხლისადმი დამოკიდებულება შეუცვლია ასაკოვანი ქალბატონისთვის. სამაჩაბლოში დარჩენილ შვილებს სიზმრად ხედავს - ვინ იცის, აღარც არიანო, წუხს დედა და სურს იცოცხლოს, ვიდრე სამაჩაბლოში სიმშვიდე არ დამყარდება.

ერთ-ერთ წერილში საუბარია უზენაესი საბჭოს არჩევნებზე, რომელსაც ხალხი ბოიკოტის გამოცხადებით ემუქრება იმ მიზეზით, რომ არ ცნობს საბჭოთა ხელისუფლებას. ჟურნალისტი არ ეთანხმება ამ პოზიციას და აღნიშნავს, რომ საზოგადოება დაბნეულია; მასთან საუბრები და ახსნა-განმარტებები ინტელიგენციამ უნდა იკისროს. საკითხთან დაკავშირებით, რაიონში უნდა იმუშაოს „რუსთაველის საზოგადოებამ“ და „სახალხო ფრონტმა“, ან ორივემ -ერთად.

წერილი, რომელშიც ჟურნალისტი ოპოზიციაზე საუბრობს, თემის შესატყვისადაა დასათაურებული - „მხოლოდ გონიერება და მიმტევებლობა გადაგვარჩენს“. ჟურნალისტი კითხვას სვამს: „განა რომელიმე თქვენგანს სწამს, რომ ამერიკელი, გნებავთ ფრანგი ან რუსი „ქართლის ბედზე“ სწუხს და გული ეთუთქება?!“

ოპოზიციის ახმაურება კარგს არაფერს უქადის ახლად ფეხადგმულ საქართველოს. „კარგად მახსოვს რაიონის მოსახლეობასთან ბატონ ირაკლი წერეთლის ნათქვამი - „ჩვენც ვაცდით ჩვენ მიერ არჩეულ პრეზიდენტს, მაგრამ ეს გზა თავისუფლებამდე არ მიგვიყვანსო“...მაშინ ოპოზიციას მიაჩნდა, რომ პარლამენტური გზით (ლიტვური ვარიანტი), საქართველო ვერ გათავისუფლდებოდა, მაგრამ როცა ბალტიისპირეთის რესპუბლიკები სუვერენულ სახელმწიფოებად აღიარეს, მაშინ კი დარწმუნდა ყველა, რომ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ სპიკერის მიერ არჩეული გზა სწორი ყოფილა. იქნებ, ამან გააბოროტა ოპოზიცია?“

აღნიშნული წერილი გაჯერებულია ტკივილით, რომ, არც ხელისუფლება და, მით უმეტეს, ოპოზიცია, თავს არ იკავებს ცილისმწამებლურ გამონათქვამებზე.

პრეზიდენტს შეიძლება მიეთითოს, მაგრამ - არა გაბოროტებით, არამედ - როგორც პოლიტიკოსს შეჰფერის, კეთილმოსურნის პოზიციებიდან. ქვეყნის ჭირის გარეთ გატანა ერის კეთილდღეობას საფრთხეში აგდებს. გულისტკივილითაა აღნიშნული ამ საკითხისადმი პრეზიდენტის არადიპლომატიური მიდგომაც: „მაგრამ როგორი დიპლომატია თავად პრეზიდენტი? ყველაზე დიდი შეცდომა, რაც პრეზიდენტმა დაუშვა, ესაა ყველა ოპონენტისათვის „მოღალატისა“ და „კრემლის აგენტის“ იარლიყების მიწებება. ძნელად თუ ვინმე დამაჯერებს, რომ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე, ირაკლი წერეთელი, კრემლის აგენტები არიან“.

2 სექტემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევა სპეცდანიშნულების რაზმის „ომონელების“ მიერ, მათ წინააღმდეგ იარაღის გამოყენება რატომ მოხდა მაინცდამაინც მაშინ, საკავშირო ყრილობის დღეებში?! ოპოზიციამ რატომ გამართა მიტინგი იმ დღეებში, როცა საქართველოში ამერიკელი კონგრესმენები იმყოფებოდნენ?! გადაცემა „ვრემიამ“ გადმოსცა აღნიშნული მიტინგი; რატომღაც დაიკარგა ის ვიდეოჩანაწერი!.. პერიფერიებში ხალხი ტელეეკრანის საშუალებით იღებს ინფორმაციას და თუ იქიდან ობიექტური აზრი არ მოისმინა, თუ დამახინჯებულმა აზრმა უარყოფითად განაწყო მასები, მერე?! ხანდახან მაინც ხდება, ტელეეკრანიდანაც ჟონავს სიმართლე-პრეზიდენტის მხარდასაჭერად გამართული მიტინგის მიზანი იყო, - ერთმანეთზე მეტად ექოთ პრეზიდენტი. საქართველოს ყველა კუთხიდან „ჩამოვიდა“ ხალხი. არც საქართველო უხსენებია ვინმეს და არც მდგომარეობიდან გამოსვლის გზები უძებნიათ. ლეილა აბაშიძის გულახდილობამ, „აქ ვიყავით დაბარებულიო“, გასცა მიტინგის ორგანიზატორების ქმედების არსი (ამ მიტინგით დათვური სამსახური უფრო გაუწიეს პრეზიდენტს): „რა იცის სვანმა თუ ქართლელმა ქალმა, არიან თუ არა საქართველოს მოღალატეები გიორგი ჭანტურია და გიორგი წერეთელი, ისტერიულად რომ მოითხოვენ საქართველოდან მათ გაძევებას?! გონიერი ადამიანები სჭირდება ქვეყანას. სიტუაცია მეტად კრიტიკულია, უმართავი. აკაკი ბაქრაძე ხსნას „ეროვნული თანხმობის დროებითი მთავრობის“ შექმნაში ხედავს, მაგრამ ვინ იღებს ყურად ამ გონივრულ რჩევას? თითქმის ყოველდღე იმართება მრავალათასიანი მიტინგები, ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომასა და პარლამენტის ხელახლა არჩევას მოითხოვს, მთავრობის მომხრენი კი - დამნაშავეთა დასჯას. მაინც ვინ არიან დამნაშავენი?“

„რით აპირებთ ხალხის გულის მოგებას?“ ასეთი სათაური აქვს გაზეთ „ალიონში“ განთავსებულ წერილს, სადაც საზოგადოების „ზვიადისტებად“ და „ანტიზვიადისტებად“ დაყოფაზეა საუბარი: „როგორც ამბობენ, ორივე მხარის დაღუპულებს ერთად კრძალავენო. ეს ასეც უნდა იყოს, სხვადასხვა რწმენისა და შეხედულებების მიუხედავად, ისინი ხომ საქართველოს თავისუფლებას შეეწირნენ! ნუთუ მხოლოდ სიკვდილმა უნდა გაგვაერთიანოს?! განა ცოცხლებმა ვერ უნდა შევძლოთ საერთო ენის გამონახვა?!“

ჟურნალისტის აზრით, გათიშვის პროცესი მაშინ დაიწყო, როცა განსხვავებული აზრის მქონე ყველა ადამიანი „კრემლის აგენტად“ მოინათლა. წერილის დედააზრს პრეზიდენტის ნაკლოვანებებზე საუბარი არ წარმოადგენს, მიზანი ერთია- „გამარჯვებულებსა“ და „დამარცხებულებს“

(დასასრული V გვერდზე)

ქვეყნის მაჯისცემა ლოკალურ პრესაში

(დასასრული)

მოუწოდებს ჟურნალისტი, ერთურთს ნუ მოუღერებენ იარაღს, საქართველოს არ ჰყავს დასაკარგი შვილები!
ურთიერთდაპირისპირების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობდა რეგიონებშიც. „მადლობა ღმერთს, რაიონში უსისხლოდ ჩაიარა „სამთავრობო ცვლილებებმა“, „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენლებმა მშვიდობიანად დატოვეს პრეფექტურის შენობა. მოვიდა ახალი ძალა, რომელმაც სიმშვიდე და წესრიგი უნდა დაამყაროს რაიონში, გადაჭრას ბევრი მტკივნეული და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა, მაგრამ ჯერჯერობით სასიკეთო ცვლილებები არ ჩანს, პირიქით, რაც გამოწვეულია ცალკეული ჯგუფებისა და პიროვნებების უკონტროლო მოქმედებით, რომლებიც ყაჩაღური თავდასხმებით შიშსა და უნდობლობას თესავენ მოსახლეობაში, რაც, ბუნებრივია, სახელს უტეხს ახალ მთავრობას“.

„საქართველო - შაგრენის ტყავი“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ვითარებას აღწერს 1992 წლის შემოდგომაზე. ადამიანთა სახეზე ღიმილის გაქრობის მიზეზად ქცეულა „საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობა. უმოწყალოდ გაჩეხილი ტყეები, აშმორებული დედა-მდინარეები, „იზმებით“ დასნებოვანებული ერი. თურქეთის ციებ-ცხელებაშეყრილი ადამიანები, ფერშეცვლილი და მრავალრიცხოვანი აგენტურა, პატიოსნება და სინდისი - უკანასკნელი მოჰიკანი“, ხელგაწვდილი ადამიანებით სავსე ქალაქი, ლტოლვილებით გადაჭედილი სასტუმროები, მხედრიონელებისა და გვარდიელების ქალაქი, „შავ ბაზარზე“ გამოფენილი „ჰუმანიტარული დახმარება“, სისხლის დაღვრის შიშით ბედს შეგუებული ადამიანები.

აფხაზეთიდან მოსული ინფორმაცია კარგს არაფერს გვიქადის. სამაჩაბლოც დანაღმულ ტერიტორიას ჰგავს და არავინ იცის, ხვალ-ზეგ, კიდევ სად აფეთქდება ნაღმი. გამაღიზიანებელია პარლამენტის სხდომები, აშკარად ჩანს, რომ „ქართლის ჭირი“ არავის ადარდებს. პარლამენტის სიჭრელე ქვეყნისა და ხალხის სახეა. ადამიანებს გარეთ გამოსვლისა ეშინიათ; ერთმანეთისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეინიშნება, „ადამიანებს შორის ეჭვი და უნდობლობა გაბლანდულა. სადაცაა, უზნეობის ჭაობი ჩაგვძირავს. ნუთუ ეს ყველაფერი მართლა დრომ მოიტანა?! ნუთუ ჩვენივე ცოდვებისთვის ვისჯებით? ნუთუ ახლოსაა განკითხვის დღე?“

„ამონაწერი ლტოლვილის დღიურიდან“ - ასეთი სათაური აქვს წერილს, რომელიც ხაშურში ლტოლვილების შემოსვლის პირველ დღესა და მათ შთაბეჭდილებებზე მოგვითხრობს. მადლიერებას გამოხატავენ აფხაზეთიდან ჩამოსული ლტოლვილები; აღნიშნავენ მოსახლეობის პატივისცემას, თანადგომას და თანაგრძნობას. ერთ-ერთი მათგანი უდიდესი ტკივილით იხსენებს გზას, რომელიც სოხუმიდან წამოსულებმა გამოიარეს: „თვალებიდან არ მცილდება მშიერ-მწყურვალი, გაძარცული ადამიანები, ძლივს რომ მოათრევდნენ გაწამებულ,გათოშილ სხეულებს. ნაბიჯს არა ვდგამ ისე,რომ არ მესმოდეს ხევში გადაჩეხილთა კივილი,შვილებისა და მშობლების გოდება გზაზე უსასოოდ მიტოვებულ მიცვალებულთა გამო“... დევნილი ქალბატონი გულისტკივილით დასძენს, რომ პურის რიგში დგომის დროს ხშირად ესმით: „რა გააწუხეს გული ამ ლტოლვილებმა?!“ ერთ ქალბატონს კი სურვილი გაუჩნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეღო ლტოლვილი, თუ მასთან მოსამსახურედ დადგებოდა [მაშინ შინამოსამსახურე უცხო იყო ჩვენი საზოგადოებისთვის; შეურაცხმყოფელი იყო ვინმესთვის გეკადრებია, -მოსამსახურედ დამიდექიო... ახლა დრომ მოიტანა და ჩვენი ქალები, არა მარტო აქ, ჩვენთან, არამედ საზღვარგარეთ მიდიან და უცხო ოჯახებს საკუთარი ოჯახის გადასარჩენად ემსახურებიან - [ვ. გ.]. ჟურნალისტი თანაგრძნობას უცხადებს დევნილებს, უბოდიშებს მათ ნაცვლად, ვინც მათ გული ასე ატკინა.

სოხუმის დასაცავად ხაშურელებმაც დაკარგეს შვილები და არანაკლებ ტრავმირებულნი არიან. იქვე დასძენს, რომ ლტოლვილთა შორისაც ხომ არიან უმადურები! - ზოგმა სანატორიუმი დაიწუნა და ბორჯომი და თბილისი მოისურვა, ზოგს ტანსაცმელი არ მოეწონა, მაგრამ მათი მდგომარეობის გაგება შეიძლება (გადატანილი ტანჯვა-წამების გამო, რასაც ყველა გაგებით უნდა მოეკიდოს).

ლტოლვილების პრობლემებზე საუბარი გრძელდება გაზეთის მომდევნო ნომრებშიც. წერილში „ლტოლვილების პრობლემა - სადღეისო საზრუნავი“,საუბარია თუ სად,ვისთან არიან ჩვენს რაიონში შემოსული ლტოლვილები. გარდა კერძო ოჯახებში, ნათესავებთან დაბინავებული ოჯახებისა, ჩვენმა მთავრობამ სანატორიუმ „სურამში“ მოათავსა უბინაოდ დარჩენილი 30 ოჯახი (120 კაცი). მადლობის მეტი რა ეთქმით დევნილებს, მაგრამ დედები შვილების სიშიშვლეზე, წამლების ფულზე და კიდევ სხვა უამრავ წვრილმან პრობლემაზე საუბრობენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე ხვდება ჯერ სანატორიუმის დირექტორს, ბატონ გოჩა ნოზაძეს, შემდეგ კი - ლტოლვილთა რაიონული შტაბის თავჯდომარეს, რაიონული საკრებულოს გამგეობის თავჯდომარის მოადგილეს, ბატონ გივი გოგალაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ პრობლემები მართლაც არსებობს, თუმცა ლტოლვილების დასახმარებლად თანხების მოძიების სერიოზული მექანიზმია ამოქმედებული. „1993წლის 1 თებერვლისათვის რაიონში დროებით საცხოვრებლად 1080 ლტოლვილია ჩამოსული, მათ შორის აფხაზეთიდან - 712, ხოლო სამაჩაბლოდან -372 კაცი. მათ დასახმარებლად შექმნილია სპეციალური შტაბი, თვეში ერთხელ ვატარებთ სხდომებს, სადაც ვიხილავთ ლტოლვილთა ირგვლივ წამოჭრილ პრობლემებს“.

ბატონ გივი გოგალაძესთან საუბრიდან ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძე არკვევს, რომ 1991 წლიდან სანატორიუმ „ნაკადულში“ ცხოვრობს სამაჩაბლოდან ჩამოსული 33 ლტოლვილი. დევნილთა დასახმარებლად რაიონში გაიხსნა სპეციალური ანგარიში. 15 თებერვლისთვის ანგარიშზე შემოსულია 536 მანეთი. აფხაზეთის ლტოლვილებზე რაიონული ბიუჯეტიდან გაიცა 17 000 მანეთი (სულზე - 100 მანეთი). „ქალაქვაჭრობასთან“ გახსნილია სპეციალური მაღაზია ლტოლვილებისთვის. საახალწლოდ 8 ტონა პურის ფქვილი უსასყიდლოდ გადაეცათ ლტოლვილებს (სულზე - 10კგ). პენსიონრები აიყვანეს აღრიცხვაზე, დახმარებები გაიცემა ბავშვებზეც. ყოველივე ეს მათთვის არაა საკმარისი, რაიონი საზოგადოებას მოუწოდებს, ერთად შეუმსუბუქონ ლტოლვილობის ტვირთი იძულებით გადაადგილებულებს.

როგორც თავშივე მოგახსენეთ, ზემოთ ჩამოთვლილი წერილების ავტორი ჩვენი რაიონის მკვიდრი, ჟურნალისტი მაყვალა ხაჩიძეა. 2008 წლის ომის დროს იგი რაიონული გაზეთის თანამშრომლად აღარ მოიაზრება; ბუნებრივია,ეხმაურება ომს,მაგრამ მის მიერ გამოქვეყნებულ წერილებს აქ არ მოვიყვან ერთი მიზეზით: მაყვალა ხაჩიძე განვიხილე, როგორც 90-იან წლებში მოღვაწე რაიონული გაზეთის ჟურნალისტი.

პროფესორ მურად მთვარელიძის თვალსაზრისით, მაყვალა ხაჩიძის წერილებს დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა: „ეს ერთგვარი მატიანეა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და,რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ესაა გულით და სულით, ამავე დროს, პროფესიული ოსტატობით შესრულებული ნაწერები. ეს სიყვარულის ერთგვარი საგალობელიცაა, რადგან უამრავი ძვირფასი ადამიანის სახე სწორედ ასე წარმოჩნდება ამ წიგნის ფურცლებიდან და, თუ თემატურადაც გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ არ დარჩენილა არც ერთი სფერო, რომელსაც მაყვალას კალამი არ შეხებოდა - იქნება ეს მშობლიური ენა, ისტორიული ძეგლები, ლიტერატურული თუ მუსიკალური ცხოვრება, სპექტაკლები, წიგნების წარდგინებები,ეროვნული მოძრაობა... აფხაზეთი, სამაჩაბლო, ლტოლვილთა სევდა...“

როგორც ხედავთ, გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მაყვალა ხაჩიძის წერილები, ქრონოლოგიურად, 2008 წლის ომამდე პერიოდს მოიცავს. ვფიქრობ, დანაშაული იქნება მხოლოდ 90-იანი წლების მოვლენებით შემოვიფარგლოთ. ვიცით,რომ 2008 წლის ომის სიმძაფრე, ფიზიკური მდგომარეობით, ხაშურის რაიონმაც განიცადა.

აქ მოყვანილი ფაქტები ნამდვილად არაა საკმარისი იმის წარმოსადგენად, თუ რა კუთხით შეეხო ხაშურის რაიონს 2008 წლის აგვისტოს ომი, როგორ პანიკაში იმყოფებოდა მოსახლეობა. ფაქტია, ხაშურის მოსახლეობამ ცხადლივ იგრძნო ომის სუსხი, რაც დევნილებისადმი მეტი თანადგომითა და თანაგრძნობით გამოიხატა.

მოგეხსენებათ, საგაზეთო ქრონიკებს ხელს არ აწერს ავტორი, მაგრამ რობერტ სუხიაშვილისა და გოგი გოგოლაძის სახელი ქვეტექსტივით იკითხებ(ოდ)ა (ამჯერად, გოგი გოგოლაძე) ნებისმიერ ხელმოუწერელ მასალაში.

საგაზეთო წერილში „რუსული ინტერვენცია“, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა, საუბარია, თუ რა რაკურსით შეეხო აღნიშნული ომი ხაშურის რაიონს. „რვა აგვისტოს ომის“ სახელით მონათლული ომი, დევნილების გადმოცემით, სინამდვილეში ბევრად უფრო ადრე დაიწყო. ქართული მოსახლეობა მანამდეც განიცდიდა შევიწროებას; იყო სროლა. გორსა და ქარელის რაიონზე განხორციელებული ქმედებების შემდგომ, 11 აგვისტოს, რუსეთის საჯარისო ნაწილები ხაშურის რაიონს მოადგნენ. ქრონიკაში ვკითხულობთ: „რუსებმა სოფელ ნაბახტევთან ბლოკ-საგუშაგო გახსნეს. მტრის თვითმფრინავებმა 3-4-ჯერ დაზვერეს ქალაქი. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. სტალინის, იმერეთის ქუჩის და ჭალისუბნის მცხოვრებთა დიდმა ნაწილმა მტკვარგაღმა სოფლებს შეაფარა თავი. ნაწილი ბორჯომ-ბაკურიანის მიმართულებით გაიქცა. ზემოსერის უბანმა კი ცედანს, წაბლოვანს და ქემფერს მიაშურა. ბევრი ჩვენი მოქალაქე ხარაგაულის სოფლებში დაემალა მტერს“ .

ხაშურიც ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც სრულიად საქართველო. ხელისუფლება დუმილით შეხვდა ამ პროცესებს. არანაირი განცხადება, არანაირი მოწოდება, არანაირი გაფრთხილება ან ნუგეში იმ ხალხს, რომლის დაცვაც სახელმწიფოს ვალია... მოსახლეობა უნუგეშობამ მოიცვა. მადლობა ღმერთს, აქ მაინც არ დაიღვარა სისხლი. მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ხაშურის რაიონმა 11 ათასი ლტოლვილი მიიღო და დააბინავა. ომში გაწვეული იყო 280 რეზერვისტი (მათგან დანაკარგი არ ყოფილა). სამწუხაროდ, ხაშურის რაიონმა ამ ომში სამი ახალგაზრდა დაკარგა: ქვიშხეთელი დავით ბლიაძე, ოსიაურელი ზაზა მახარაშვილი და ხაშურელი გიორგი წიქარიშვილი.

ომის პერიოდში ხაშურის საავადმყოფოში 70 დაჭრილი მკურნალობდა. ტარდებოდა ოპერაციები. საგაზეთო ქრონიკის მიხედვით: „გმირობის ტოლფასია ჩვენი რაიონის ქირურგების - ელიზბარ პატურაშვილისა და დავით ტაბატაძის მიერ ჩატარებული ოპერაციები, რომლებსაც დაჭრილები პირდაპირ ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ. „ღირსების ორდენით“ დაჯილდოებულია ჩვენი თანამემამულე, შესანიშნავი პიროვნება და ქირურგი იოსებ (სოსო) გელაშვილი“ .

ამგვარად, ხაშურის რაიონის პერიოდული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალის შესწავლით ნათელი წარმოდგენა შეგვექმნა, თუ რა ხდებოდა დედაქალაქის, სამაჩაბლო-აფხაზეთისა თუ შიდა ქართლის პარალელურად ქართლის გულის პატარა, მაგრამ ყველა მიმდინარე პროცესის ფერხულში აქტიურად ჩაბმულ ხაშურის რაიონში.

ეს იმ ეპოქის ნაწილია, სადაც თავისი ხმამაღალი სიტყვა თქვა ჩვენმა თანამემამულემ, დამსახურებულმა ჟურნალისტმა, მწერალმა, ექვსი წიგნის ავტორმა მაყვალა ხაჩიძემ, რომელსაც, დაბადებიდან 75 წლის იუბილეს, მადლიერებით, ჯანმრთელობისა და მამულის გაბრწყინების უდიდესი სურვილებით ვულოცავთ თანამემამულენი.

მრავალჟამიერ!...

კლარა გელაშვილი,

მწერალი; დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ფონდების მცველი; ფილოლოგიის დოქტორი, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრის, კინოს, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის წევრი.

- ხელოვნება -

- ნათია კიკნაძე, ქალბატონი, რომელიც თავისი შემოქმედებით გაზაფხულის დღესასწაულებს ქმნის

მინდვრის ყვავილების მარადიული სიცოცხლე-„ნატუსის“ შემოქმედების მოკლე დახასიათებაა. სკოლის მასწავლებელმა, ნათია კიკნაძემ, თავისი სიყვარული მცენარეების, ყვავილების მიმართ, საყვარელ საქმედ აქცია და ხელოვნების ნიმუშების სახით გააცნო მომხმარებლებს. ყველაფერს,

რასაც მარადიული სახე და ფორმა მისცა, მისი დამოკიდებულება ეტყობა-ფერადია და სიცოცხლეს მის ხელოვნებადქცეულ ნივთებში აგრძელებს. ებოქსიტზე მუშაობაც ერთგვარი გამოწვევა იყო ნათიას ცხოვრებაში, სცადა საკუთარი ცხოვრების გალამაზება და სხვებისთვისაც ნამდვილი გაზაფხულის დღესასწაული შექმნა. ნათია ასე საუბრობს საკუთარ თავზე და შემოქმედებაზე, რომელმაც მცირე კომპანიის შექმნამდე მიიყვანა.

- სამი შვილის დედა ვარ, პროფესიით მასწავლებელი. ხაშურის IV საჯარო სკოლაში ვასწავლი. დღეს უკვე კომპანია „ნატუსის „დამფუძნებელი ვარ. ვამზადებ ეპოქსიდის ფისისგან ხელნაკეთ ნივთებს, ბავშვობიდან მაინტერესებდა ხელსაქმე, კერძოდ, ქარგვა, ქსოვა, სხვადასხვა მასალისგან ნივთების შექმნა, კერვა. ოჯახი ამაში ძალიან მიწყობდა ხელს,მუდმივად მქონდა საჭირო ნივთები და დრო იმისთვის, რომ ჩემი საყვარელი საქმე მეკეთებინა. ეს იყო წინაპირობა იმისთვის, რომ ჩემი ხასიათი, განწყობები, გამომეტანა ხელოვნების ამ დარგის საშუალებით და სხვებისთვისაც სიამოვნება მიმენიჭებინა.

- ებოქსიდზე მუშაობა,სიახლეა ჩვენთვის,ტექნიკურადაც განსხვავებული პროცესია. რატომ აირჩიეთ ხელოვნების ეს,ახალი მიმდინარეობა?

-ზოგადად,ბავშვობიდან ჩემში განსაკუთრებულ სიყვარულს ვგრძნობდი ყვავილების მიმართ და ვზრუნავდი მათზე. არ აქვს მნიშვნელობა, როგორი ყვავილი იქნებოდა დიდებული ვარდი თუ მინდვრის პაწაწინა საპოვნელა. ადამიანი თუ დააკვირდება და შეიგრძნობს ღმერთის ხელს ყველაფერში, მასში სხვანაირად შემოდის ხელოვნების სიყვარული და ესთეტიკის აღქმა. ერთ პატარა უსუსურ ყლორტი რა სიფრიფანაა და რა სილამაზის ფერები იშლება, რა სურნელის. დიდია შემოქმედის ძალა. სულ მენანებოდა ის ყვავილები დასაჭკნობად, გასაქრობად. ამიტომ მათ ვინახავდი წიგნებში. ჩემ ცხოვრებაში იყო რაღაც გარდამტეხი პერიოდი, როდესაც მივხვდი, ჩემი ყვავილები წიგნებიდან უნდა ამომეღო და თითქოს ამ ჯადოსნურ სითხეში მომეთავსენინა, როგორც უკვდავების წყალში.

- იცოდით ტექნიკა თუ თავად ისწავლეთ და როგორ?

-როდესაც გადავწყვიტე ეს საქმიანობა დამეწყო,ინტენსიურად ცდილობდი სხვადასხვა პორტალებზე ვიდეოების ნახვას, როგორ აკეთებდნენ, როგორ ამზადებდნენ. შემდეგ მოვიძიე საქართველოში სად შეიძლებოდა ამ მასალის შეძენა, ყვავილები მქონდა, გამოვიწერე ყალიბები, რადგან დღემდე საქართველოში არ იყიდება ხარისხიანი ყალიბი,(რაც პირდაპირპროპორციულია ხარისხიან პროდუქტზე), მოკლედ, ბევრი ვიწვალე, რადგან, ძირითადად, რასაც საუბრობენ ვიდეოგაკვეთილებში, რაც იუთბარხებზე დევს, ის იმდენად არაფრის მომცემია რომ ამით აშკარად ვერ წახვალ შორს და მხოლოდ მოყვარულის დონეს თუ მიუახლოვდები ოდნავ... მაგრამ, როცა სურვილი დიდია,შედეგი ყოველთვისაა - პრაქტიკულად ვისწავლე რა როგორ კეთდება, და დღემდე სულ აღმოჩენებში ვარ,.

-რა გჭირდებათ სრულფასოვანი მუშაობისთვის?

- სახელოსნო მჭირდება, რადგან ეპოქსიდზე მუშაობას თავისი სპეციფიკა აქვს. აუცილებელია რესპირატორით მუშაობა, ხელთათმანებით, დასხმის შემდეგ, როდესაც 12 საათი გადის, საჭიროა კარგი განიავება ოთახის. ჰაერი მომწამვლელია. ასევე, როგორც მაგნ-იტი ისე იზიდავს მტვერს, მწერებს . იდეალურად სუფთა ნამუშევრისთვის ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი ,რაც ოჯახურ პირობ-ებში ძალიან ძნელია .

-როგორია დაინტერესება, როგორ მიგიღოთ მომხმარებელმა?

-ჯერ ძალიან ცოტა დროა, რაც დავიწყე და უკვე ძალიან პოპულარული გახდა ჩემი ბრენდი. ერთი თვეც არ იყო გასული,დამიკავშირდა ჟურნალისტი , რომელმაც პირველი ინტერვიუ აიღო ჩემგან, შემდეგ იყო საკმაოდ სერიოზული კომპანია, რომელმაც მთხოვა, თავიან „სთორიზე „ დაედოთ ჩემი ნამუშევრები, თუ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, შემდეგ პირველი არხი მეწვია და გააკეთეს ძალიან ლამაზი სიუჟეტი, ვიყავი გადაცემა „ქალების ნარატივში„ მიწვეული. მონაწილეობას ვიღებ სხვადასხვა გამოფენა - გაყიდვებში. ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ დაინტერესება დიდია და ხალხს ნამდვილად მოსწონთ ჩემი ნამუშევრები.

- სად ყიდით პროდუქციას?

-მაქვს ჩემი გვერდი. ატუსი-ნატუსი და იქ ვდებ ჩემს ნამუშევრებს. შემდეგ მიკავშირდებიან და მე ვუგზავნი მათ ფოსტით. უმრავლესობას არ ვიცნობ, რა თქმა უნდა. მაქვს შეკვეთები საზღვარგარეთიდან და იქაც მშვიდობით ჩადიან ჩემი პანოები.

- რას სთავაზობთ მომხმარებლებს?

-მე ვამზადებ ჭიქის დასადგამებს, ლანგრებს, პანოებს, მაგიდებს , ახლა თემატურია და დავამატე ფიფქები,შესალებლობები ძალიან დიდია. მთავრია, ხელშეწყობა და მჯერა, ჩემ წილ საქარველოს ვასახელებ ამ შემოქმედების მხრივ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.